№ 216

კვირა, 8 ოქტომბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 216

კვირა, 8 ოქტომბერი 1895

გაზეთი ღირს:

| თვ. | მან. კ. | | თვ. | მან. კ. | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

## ივანე როსტომაშვილისაგან:

როგორც ქართველ მკითხველს მოეხსენება, მე დავიწყე ქართული საყმაწვილო, სახალხო და სმეცნიერო წიგნების გამოცემა. ამ წლის პირველ ქრისტეშობისთვემდის მე აღვუთქვი საზოგადოებას ექვსი წიგნის გამოცემა, რომლის სრული ფასიც ერთი მანეთია გაგზავნით.

დღეს გამოვიდა სტამბიდგან პირველი ამ წიგნთაგანი

**ქართული ან-ბანი**

და უკვე დაურიგდა ხელის მომწერლებს. წიგნი დაბეჭდილია სხვილი ასოებით და ისეა შედგენილი, რომ ბავშვი მეტად ადვილად და ჩქარა სწავლობს წერა-კითხვას.

ფასი ამ წიგნისა გაგზავნით 20 კაპ.

ვინც ხუთ ცალზედ მეტს იყიდის, წიგნი გაეგზავნება 17 კაპ. ხოლო ვინც ასობით იყიდის—15 კაპ.

ფული უნდა გამოიგზავნოს (კაპეიკები შეიძლება მარკებით): Въ Тифлисъ Ивану Павловичу Ростомову.

(2—1930—1)

**კბილის ექიმი ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 10-დგან 2 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—6)

ქართული თეატრი.

კვირას, 8 ოქტომბერს, 1895 წ.

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების" დასისაგან

წარმოდგენილი იქნება

ქ-ნ ავალიშვილისა, ბ-ნთ ალექსი-მესხიშვილისა და ყიფიანის მონაწილეობით

**და-ძმა.**

დრამა 5 მოქმედ. თხზულ. გუნიასი.

მონაწილეობას ღებულობენ: ავალიშვილისა, ჩერქეზიშვილისა, და სხვ. ბ-ნნი ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, გუნია, გედევანოვი, კანდელაკი, აბაშიძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. მოწაფეებისათვის ადგილები ლოჟების უკან 65 კაპ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად: „იაკობელები" დრ. 5 მოქმ. თხ. ფრანსუა კოპპესი, თარგ. პ. ყიფიანის და გრ. ყიფშიძისა.

ადმინისტრატორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

**კაბინეტი კბილის ექიმთა**

**ვ. ი. ჯიჯინაძისა და ქ-ნის ქს. დ. ილარიონოვისა.**

მიხეილ. ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79.

ავადმყოფებს მიიღებენ დილის 9—5 და საღამოს 4—7 საათამდე.

ექიმი

**ი. ს. ელიაშვილი**

გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზედ, პოპოვის სახლებში, № 29, სასტუმრო „იტალიის" პირდაპირ. ავადმყოფებს მიიღებს კვლავინდებურად.

(10—9).

**ვკისრულობ**

ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს**, როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოკვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

**ნაფიც ვექილის თანაშემწე**

გიორგი ბეჟანის ძე

**გვაზავა**

ვღებულობ საწარმოებლად სასამართლო საქმეებს, **სისხლის სამართლისას**, განსაკუთრებით.

ადრესი: გოლოვინის პროსპექტი თ. მუხრან-ბატონის სახლი.

ჩემი ნახვა შეიძლება:

დილით 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

(5—1925—4)

## ტფილისი, 8 ოქტომბერი.

—

ბოლო დროს მთელის ევროპის ყურადღება მიქცეულია ოსმალეთის საქმეებისაკენ. იქ მეტად გამწვავდა ოსმალთა და სომეხთა შორის ურთიერთობა. კონსტანტინოპოლში მომხდარმა საშინელმა შეტაკებამ დაარწმუნა ევროპა, რომ სომხები არ დაწყნარდებიან, სანამ მათი თხოვნა და სურვილი ასრულებული არ იქნება. ყველა დარწმუნდა, რომ სომხები სიკვდილს ამჯობინებენ წინანდელს მდგომარეობაში ცხოვრებას. ცხადი იყო, რომ იმ ქალის სიტყვა, რომელმაც პატრიარქს უთხრა—თუ ევროპიელნი ყურადღებას არ მოგვაქცევენ და არ გვიშველიან, ჩვენ ვაჩვენებთ ყველას—როგორ უნდა სიკვდილიო,—უბრალო სიტყვა-კი არ იყო, არამედ ნამდვილი გრძნობა გამწვავებულის ერისა. მეორეს მხრით არც ოსმალეთის მთავრობა დაუთმობდა. შესაძლებელია მთავრობას კიდეც დაეთმო, რადგანაც გარემოებანი და უცხო ქვეყანათა ძალდატანება ამას თხოულობდა, მაგრამ საშიში და საფიქრებელი იყო თვით ოსმალთა შფოთი და აღელვება, რომელნიც სამშობლოს დამცირებამ მეტად გააბრაზა. ამ ორის კვირის განმავლობაში რამდენჯერმე მოვიდა ამბავი, ვითომც ოსმალეთის მთავრობამ დაუთმო და შეიწყნარა უცხო სახელმწიფოთა წინადადებანი რეფორმების შესახებ, მაგრამ ეს ცნობები არ გამართლებულან. სომხებისათვის კეთილის მსურველნი დააიმედა ცოტათი საიდ-ფაშის სამსახურიდგან გადადგომამ და ქიამილ-ფაშის მთავარ-ვეზირად დანიშვნამ. ქიამილ-ფაშა, ცნობილი ანგლოფილი, რეფორმების მომხრეთ ითვლება და ამ დანიშვნით ცხადი იყო ოსმალეთის მთავრობა საჯაროთ აცხადებდა დათმობის სურვილსა და განზრახვას. მართლაც თავდაპირველად ინგლისურ გაზეთების დეპეშამ აუწყა ქვეყანას, რომ მთავრობამ დაამტკიცაო წარდგენილი პროექტი რეფორმებისა; გუშინ-კი ოფიციალური დეპეშა მოვიდა, რომელიც „ივერიის" გუშინდელს ნომერშიაც გვქონდა დასტამბული. დეპეშა ამბობს: გამოცხადდა სულთანის ირადე, რომ ოსმალეთის მთავრობამ დაამტკიცაო ის პროექტი რეფორმებისა, რომელიც შეიმუშავეს ინგლისისა, რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა პორტასთან ერთად. ამ რიგად ინგლისის პოლიტიკამ გაიმარჯვა და ოსმალეთის სომხებს ეშველებათ.

პირველი მაგალითი არ არის, რომ გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩაყენებული პორტა თანხმდება ყოველისფერზედ, რასაც სთხოვენ, მაგრამ იმის მაგალითი-კი, რომ თავისი დაპირება აესრულებინოს სავსებით, ჯერ არც ერთი არ ყოფილა. თვით სომხების შესახებ რეფორმების თანხმობა ოსმალეთმა ჯერ ბერლინის კონგრესზე გამოაცხადა, შემდეგ რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ დღემდის არა გაუკეთებია-რა. ახლა ევროპას გამოცდილი აქვს ეს გარემოება კარგად და ამიტომ უთუოდ ისეთ ღონეს იღონებს, რომ ხელ-მეორედ საქმე აღარ გაუხდეს სავალალოდ. თუ ის ენერგიული მფარველობა, რომელსაც სომხებს უწევენ დღეს ევროპის სახელმწიფონი, გულ-წრფელია, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ოსმალეთის უბრალო დაპირებას აღარ აკმარებენ და მართლა აღასრულებინებენ განზრახულს რეფორმებს; დააწესებენ ისეთს ფაქტიკურს კონტროლს, რომლის მეოხებითაც ოსმალეთის მთავრობას არ შეეძლება უკან დახევა ან ვისმეს მოტყუება.

იმისი თავდებნი, რომ ოსმალეთი ნამდვილად განახორციელებს რეფორმების პროექტს, დღეს თვით სომხებიც არიან. მათ იმეთი ხელმძღვანელნი ჰყავთ ამ ჟამად, რომ ძნელი წარმოსადგენია—პირველმა გაემარჯვებამ გააბრუოს და დაავიწყებიოს, რომ ჯერ საქმე არ დასრულებულა...

იმედი ვიქონიოთ, ამ ტანჯულს ერსაც ეღირსება ნამდვილი შველა და ჩადგება ისეთს მდგომარეობაში, რომელიც მისცემს მას საშუალებასგა აუმჯობესოს თავისი ცხოვრება და წარმატების გზაზე ხელშეუშლელად წავიდეს.

ლალი.

## ფელეტონი

—

### იმედი

(პოემიდამ „მარიამ", დასაწყისი XIII და დასასრული XIV საუკუნისა).

ქართველი დედა გამხნევებული
შვილს აიმედებს და ეუბნება:
„შვილო! ნუ შიშობ, ეგ ნორჩი გული
ჰმუნვარებასა ნუ ემონება.
თუმცა მონგოლი დღეს ზნეს-კი გვიწყმენდს
და სინიდისი თან-და-თან ჰქრება,
ნამუსს და კეთილს ანგარიშის ძლევს,
წმიდა განზრახვებს—შხამ-ბოროტება,
მაგრამა, გრწამდეს, ვით გაზაფხული,
უთუოდ მოვა შემდეგ ზამთრისა,
ყინვა—სუსხისგან შეწუხებული,
სამყარო პორფირს გამოიცვლისა;
აჰყვავდებიან მინდვრები, მთები,
ყვავილნი მდელოთ გულს შეუმკობენ,
გვესტუმრებიან შორით ჩიტები,
ჭიკ-ჭიკ, გალობით გულს დაგვატკბობენ,
თვით ცა მრისხანე, წარბებ შეკრული,
მადლით ძლიერით გარდიმოსხება,
აქ ერს იმედი აჰყვავებული
გრძნეულის ძალით შთაებეჭდება,—
აგრეთვე ივერს, ახლა ფერ-მკრთალსა,
მოეწიჭება დრო ნეტარების,
მისს დაღონებულს, ლამაზს გულმკერდსა
გარდეფინება მადლი ღვთაების;
მისი დიდრონი, ლამაზი ფრთები
ძალით, დიდებით გარდაიშლება,
მისს რკინის გულზედ მცველნი გმირები
კვლავაც მრავალნი დაიბადება!..
იმით ნუ ვკარგავთ, შვილო, იმედსა,
რომ ეხლა მტერსა დავუჯაბნივართ,
ენას ვერა ვსძრავთ, ვერ ვიხსნით ხელსა,
თავისუფლებას მოკლებულნი ვართ:
მერწმუნე—თუ რომ მჭედელი რკინას
ცეცხლშიგან შესდებს და გახურებს,
მძიმე უროთი დაუწყებს ცემას—
ათასჯერ მეტად მით გაამაგრებს!
ჩვენცა ეგრე ვართ: ტანჯვასა, ცეცხლში
დღითი-დღე სულით, გულით ვმაგრდებით,
და ფრთებ შეკვეცილს ჩვენს ცხოვრებაში
ცხოველ იმედით გარს ვიმოსებით...
იმედი არის კაცის ნუგეში,
იმედით კაცი ჰსუნთქავს და ცხოვრებს,
და რაც ვარამი უდუღდეს გულში
მაინც მომავალს ტრფობით შეჰყურებს;
ის შვებას აძლევს საწყალს, დაჩაგრულს,
ცის მადლს უძლინებს და უნაწილებს,
მალამოსა ჰსცხებს დაწყლულებულს გულს,
გამოამრთელებს, აღაყვავილებს;
იმედის სხივით გარე-მოცული
ადამიანი დროს ელოდება,
რომ აგერ, აგერ დალხინებული
ცხოვრება მასაც მოეწიჭება...
და ივერიაც დროს ელოდება,
არ ჰკარგავს იმედს მაცოცხლებელსა,
რომ ღვთის მშობლისა მას ძლიერებ
უჩენს წყაროსა გამკურნებელსა!.."

გრ. თირელი.

## საკვირაო ფელეტონი.

რატომ გადვიდა საკვირაო ფელეტონის მოდა? — მწერალთა და მკითხველთა „გასერიოზება".—ოცნების ნავით სრიალი კარგია!—სასიამოვნო ამბების კითხვა სჯობია, რომ პაწია კარგს აუარებელი ავი არ ეხვიოს გარშემო.—ისეთი სასიამოვნო რამ იშვიათად მოიპოვება ჩვენში, რომელსაც ცუდი გვერდით არ ახლდეს.—მაგალითები—ბანკები და თავად-აზნაურთა საქმეებია ამერ-იმერეთში.—არა ერთითა პურითა სცხოვნდებიან ქუთათური ადვოკატები!—ამათი გულცივობა ჩვენს საერო სამოღვაწეო ასპარეზზედ.— მოსწავლეთა რიცხვის სიმრავლე სასიამოვნოა, მაგრამ სწავლა-გარდაცემისა და სასწავლო მასალის უვარგისობა მეტად სამწუხარო და სატირალია.—დიდებული ბალტაზარი.—სკოლა შემოქმედებითს ნიჭს და ძალას არ ავითარებს და არ უნერგავს მოსწავლე ახალგაზრდობას.—ამაში პედაგოგები არიან დამნაშავენი.—სკოლა ვერ წინამორბედობს, ცხოვრებას უკან ძლივს მიჩანჩალებს.—ბოდიშს ვიხდი.

რა მოხდა ნეტავ, რომ გაზეთში ეს ერთი ხანია საკვირაო საუბარი აღარ იმართება? ეგებ მას ჟამსა შინა საკვირაო ფელეტონი მოდათ იყო და ახლა იგი მოდა გადვიდა ისე, როგორც ტურნური და ხაბარდა? ან ეგებ იმის ბრალიც იყოს, რომ კვირა-უქმე დღის შესაფერი მასალა მკითხველთა გასართობად გაზეთის თანამშრომლებს ვერ შეურჩევიათ! რაც ნებავთ, ის დაასახელონ ამის მიზეზად, მაგრამ მე-კი მგონია, რომ თანამშრომელნიც და მკითხველნიც მეტად „გასერიოზდნენ".

თუ ასეა, დიდის აღტაცებით უნდა მოგილოცო, მკითხველო, ეს რადგანაც კარგის მეტს არას მოასწავებს და მეც დიდის სიამოვნებით მივეგებები ასეთ მკითხველთა და მწერალთა ლიტერატურულს ზრდას... თუმცა ისიც უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ ფელეტონი საზოგადოდ და საკვირაო განსაკუთრებით ადვილი „რამე-რუმეების" მომთხრობი უნდა იყოს; უიმისოდაც დაბეჩავებული, დაღონებული, მთელი კვირის განმავლობაში ლუკმა პურისათვის მებრძოლის, მაშვრალისა და ტვირთ-მძიმე მკითხველის გონება გაზეთის ფელეტონმა არ უნდა დაამძიმოს, მოსვენების დღეს თავის სატეხ ცხოვრების მოვლენაზე არ უნდა შეაჩეროს, მწარე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი ამბავი

—

*** დღეს, 8 ოქტომბერს, „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან წარმოდგენილი იქნება ხუთ-მოქმედებიანი დრამა ვალ. გუნიასი „და-ძმა“. წარმოდგენაში მიიღებს მონაწილეობას პირველად ამ სეზონში ბ. ალექსი-მესხიშვილი.

*** ამ უკანასკნელს დროს შენიშნულია, რომ ტფილისში სანოვაგეს კარგი თვისებისას არა ჰყიდიან, მეტადრე თევზეულობას. სანოვაგე ძველი და დამპალია. ყურადღების ღირსია აგრეთვე უსუფთაობა დაბალ ღირსების სასტუმროებში, სადაც მუშა ხალხი სადილობს ხოლმე.

*** ჩვენ გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: ბრმათა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭო საჯაროდ აცხადებს, რომ 1895 წლის 1 სექტემბრისთვის განყოფილების კასსაში იყო 36148 მან. და 90 კაპ., სექტემბრის განმავლობაში შემოვიდა 1173 მან. და 39 კაპ:, იმავე თვეში გაიცა 1615 მან. 6 კაპ., პირველ ოქტომბრისთვის დარჩა 35707 მან. და 23 კაპ: ამ ფულიდგან არის: 1) მიმდინარე ანგარიშზე სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში 2790 მან. და 90 კაპ.; 2) იმავე ბანკი შემნახველ კასსაში 2254 მან. და 86 კაპ.; 3) იმავე ბანკში სარგებლიან ქაღალდებით ინახება 30629 მან. და 72 კაპ. და 4) ნაღდი ფული კასსაში 31 მან. და 75 კ.

სექტემბრის განმავლობაში თვალის საავადმყოფოში, რომელიც კავკასიის განყოფილებას ეკუთვნის, მივიდა სულ 255 ავადმყოფი, რაც ძველ ავადმყოფებთან ერთად შეადგენს 1652 კაცს; იმავე თვეში საავადმყოფოში 44 ოპერაცია იქმნა გაკეთებული; 20 ოპერაცია საავადმყოფოშივე მწოლიარეს გაუკეთდა, ხოლო 24 გარედგან მოსიარულე ავადმყოფს.

*** ამ დღეებში ტფილისში ხმა გავრცელდა, რომ სტამბოლში სომხების პატრიარქი მოუკლავთო. როგორც გაზ. „ტფილისის ლისტ.“ იუწყება, ეს ხმა ტყუილია.

*** სიღნ. ანაგა: რთვლები უკვე გავათავეთ, მაგრამ რა გამოვიდა! კვლავ გამხიარულებულნი, იმედებით სავსენი, შევუდგებოდით ხოლმე ყურძნის კრეფას და ორ-სამ კვირაში ძლივს ვათავებდით, ეხლა-კი სულ ერთის დღის საქმე არ იყო. ზოგს ერთის ან ორი კალათის მეტი არ მოსვლია ყურძენი, ისე გაგვინადგურა წრევანდელმა ცუდმა წელიწადმა ვენახები. ღვინის ფასმა ეხლავე ძალზედ აიწია: ტკბილი, მანეთის მაგიერ, როგორც კვლავ ფასობდა, სამ-ოთხ მანეთამდე ავიდა. ღვინო საპალნე ოთხ-ხუთ თუმნიანი, ეხლა თორმეტ ცამეტ თუმნად და მეტადაც იყიდება. ასე ძვირია ეხლა ღვინო, გაზაფხულზედ-კი ერთი ხუთად უფრო დაძვირდება.

*** ტფილისის გუბერნიის ადგილ-მამულებზედ უკვე განაწილებულ იქმნა გარდასახადი. ტფილისის მაზრაში 1-ლ ხარისხისა $1{,}136^{1}/_{2}$ დეს., თვითოეულს დესეტინაზედ $20^{1}/_{2}$ კაპ., სულ 232 მ. 98 კ.; 2 ხარისხისა—$19{,}288^{1}/_{2}$ დეს., 9—9 კაპ., სულ 1,735 მ. 96 კ.; 3 ხარისხ.—$96{,}164^{1}/_{2}$ დეს. 3—3 კაპ.—სულ 2,884 მ. 93 კ.; და სულ ტფილისის მაზრაში—4,853 მ. 59 კ.

ახალქალაქის მაზრაში: 1-ლ ხარისხის—$85^{1}/_{2}$ დეს. თითო შაური—სულ 4 მ. 27 კ.; 2 ხარისხ.—$17{,}418^{1}/_{2}$ დეს., $3^{1}/_{2}$ კაპ.,—სულ 419 მ. 94 კ.; 3 ხარისხ.—$23{,}996^{3}/_{4}$ დეს. $1^{3}/_{4}$ კ.,—609 მ. 63 კაპ.; და სულ—1,033 მ. 49 კაპ.

ახალციხისაში: 1 ხარისხ.—10,846 დეს., $7^{1}/_{4}$ კ.,—სულ 786 მ., 33 კ.; 2 ხარისხ.—40,520 დ., $3^{1}/_{2}$ კ.,—1,418 მ. 20 კ.; 3 ხარისხ.—39,419 დ., $1^{1}/_{4}$ კ.,—492 მ. 73 კ.; და სულ—2,698 მ. 12 კ.

სიღნაღისაში: 1 ხარისხ.—$2{,}020^{1}/_{6}$ დ., $16^{1}/_{2}$ კ.,—333 მ. 34 კ.; 2 ხარისხ.—$18{,}614^{1}/_{2}$ დ. $4^{1}/_{2}$ კ.,—837 მ. 65 კ.; 3 ხარისხ.,—55,666 დ., $1^{1}/_{2}$ კ.,334 მ. 99 კ.; სულ—2,005 მ. 29 კ.

თელავის მაზრაში: 1 ხარისხ.—$2{,}546^{1}/_{2}$ დ., $13^{1}/_{2}$ კ.,—343 მ. 79 კ.; 2 ხარისხ.—12,247 დ., 4 კ.,—489 მ. 88 კ.; 3 ხარისხ.—$57{,}175^{3}/_{4}$ დ., $1^{1}/_{4}$ კ.,—714 მ. 69 კ.; და სულ—1,544 მ. 77 კ.

დუშეთისაში: 1 ხარისხ.—$772^{3}/_{4}$ დ., 11 კ.,—85 მ.; 2 ხარისხ.—$22{,}391^{1}/_{4}$ დ., $5^{1}/_{4}$ კ., 1,175 მან. 54 კ.; 3 ხარისხ.—$65{,}528^{3}/_{4}$ დ., $3^{1}/_{4}$ კ.,—2,129 მან. 68 კაპ.; და სულ—3,389 მ., 87 კ.

თიონეთის მაზრაში: 1 ხარისხ.—$236^{1}/_{2}$ დ., 22 კ.,—52 მ. 5 კ; 2 ხარისხ.— $8{,}922^{2}/_{3}$ დ., 7 კ.,—624 მ. 60 კ.; 3 ხარისხ.—$40{,}184^{1}/_{2}$ დ., 2 კ.,—803 მ., 69 კ.; და სულ—1,481 მ. 6 კ.

გორისაში: 1 ხარისხ.—$19{,}097^{1}/_{4}$ დ., $13^{1}/_{2}$ კ.,—2,578 მ. 12 კ.; 2 ხარისხ.—$135{,}521^{3}/_{4}$ დ., $3^{3}/_{4}$ კ.,—5,082 მ. 6 კ.; 3 ხარისხ.—$178{,}883^{1}/_{2}$ დ., $1^{1}/_{4}$ კ., 2,236 მ. 4 კ.; და სულ—9,872 მ. 23 კ.

ბორჩალოსაში: 1 ხარისხ.—$713^{3}/_{4}$ დ., $13^{1}/_{2}$ კ.,—96 მ. 35 კ.; 2 ხარისხ.—$53{,}105^{1}/_{2}$ დ., $8^{3}/_{4}$ კ.,—4,646 მ., 73 კ.; 3 ხარისხ.—$229{,}073^{1}/_{2}$ დ., 3 კ., 6,872 მ. 20 კ.; და სულ 11,613 მ. 43 კ.

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

მ. ხ. ბ ნო რედაქტორო!

კეთილ-ინებეთ და ეს წერილი მოათავსეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში. მე მისს ფიქრსაც ვერ გავბედავ, რომ შემეძლოს უნაკლულოდ გამოვსთქვა სიტყვებით, თუ რა უსაზღვროდ აღტაცებული და დავალებული ვარ ქართველ ინტელიგენციის წარმომადგენელთა მიერ დიადის პატივის-ცემით... გუშინ მადლობა გარდამიხადეს მათ იმ შრომისათვის, რომლისათვისაც მე თვით მოვალე ვარ მადლობა შევსწირო ღმერთს, რადგანაც ლიტერატურული და გულითადი ჩემი ამ მშვენიერ ქვეყანასთან დაახლოვება თვით ჩემთვის არის უმაღლესი ბედნიერება, უმაღლესი ჯილდო! ჩემი ამგვარად მიღება და დაფასება მე შემიძლიან ავხსნა მხოლოდ იმ სტიქიურის ურთიერთობით, რომელიც ჩვენს შორის დიდიხანია არსებობს. ჩემმა მეგობრებმა—მასპინძლებმა, დმათვასეს, არა მცირედთა საქმეთა ჩემთა შესაფერად, არამედ გაზღვავებულ გრძნობისა გაზომით, რომელიც წრფელისა და მოყვარულის გულით იგულისხმების.

ვნუგეშობ იმ იმედით, რომ კიდევ მომეცემა საშუალება უფრო მეტის გულ მოდგინებითა და სიყვარულით ვემსახურო ამ ჩემ მიერ არჩეულს ძვირფასს საქმეს.

ვასილ ველიჩკო.

ქ. ტფილისი, 5 ოქტომბერი 1895 წ.

## კორესპონდენცია.

—

**კონსტანტინოპოლი.** აქაურ სომეხთა საპატრიარქოში ორშაბათს, 19 სექტემბერს, იყო წირვა მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად, რასაც დაესწრნენ ყოველ-გვარის წოდების სომეხნი, როგორც მდიდარნი, ისე ღარიბნი. აქ იყვნენ ყველა ის ობლებ-ქვრივები, რომელთა მამები, ძმები და ქმრები დახოცილიყვნენ სასუნის არეულობაში. სწირველი თითონ პატრიარქი იყო. წირვა გათავდა თუ არა, პატრიარქმა ხალხი აკურთხა და გამოვიდა ეკკლესიიდგან გარეთ და უნდოდა თავისს სადგომში ასულიყო. გარეთ პატრიარქს ხალხი გარშემო შემოეხვია და ყველას თანხმობით ჰკითხეს მოთავე პირებმა: „მამაო! რას გვეტყვი, სანამ უნდა ვიწვალოთ, როდის გვეღირსება თავისუფლად ამოსუნთქვაო“ და ყველა ის ობოლ-ქვრივები წაუყვნეს წინ. პატრიარქმა ყველა ხელ-ახლად აკურთხა და უთხრა, რომ იმედიანად იქმნენ, თავი მოთმინებას მიეცითო, ღმერთი ჩვენ არ დაგვივიწყებს, ნუ აჩქარდებით, ყოველივე ღვთის ნებით არის და იქნებაო. ამ სიტყვებს შემდეგ ავიდა თავისს ოთახში, ხალხსკი დაიბარა თავ-თავიანთ სახლში წასულიყვნენ.

ხალხი ისევ ეკკლესიაში შებრუნდა. ეკკლესიაში ბევრმა სომეხთაგანმა სიტყვები წარმოსთქვეს, ხალხში ტირილი გაისმოდა ყოველივე ორატორის სიტყვებზედ. ბოლოს გავიდა კათედრაზედ ერთი ახალგაზდა ქალიშვილი როდოსტოლი, სურფიკ (სახელია) და წარმოსთქვა ძლიერ საგრძნობელი სიტყვა, შეეხო სომხეთის ძველსა და ახალს ისტორიას, აღუწერა ხალხს უკანასკნელი უბედური მდგომარეობა სომხებისა, აჩვენა უპატრონო ობოლ-ქვრივნი გალატაკებულნი და შემდეგის სიტყვებით მიჰმართა სომეხთა ახალგაზდობას: ჰეი, ძმანო! ყველა თავისს თავს იცავს, ყველას თავისს ხვედრისაკენ გაუწვდია ხელი და ჩვენ-კი საუკუნოების განმავლობაში გვძინავს, გავლაჩრებულვართ, სისხლი დაგვდუმებია, ჩვენის მოძმის, ძმის, მამისა და დედის წვალებას ისე გულ-გრილად ვუყურებთ, ვითომ არაფერიაო. აბა, ძმებო, ის კაცი, ვინც თავისს თავს და ხვედრს ვერ დაიცავს, უმჯობესია აღარ იხსენებოდეს ქვეყანაზედ. ერთხელ დავბადებულვართ და ერთხელვე უნდა მოვკვდეთ, ორჯელ სიკვდილი არავის უწერია, გინდ ასი წელიც იცოცხლოს კაცმა, მაინც წუთიერით მოეჩვენება უკანასკნელს დღეს და რაც გინდა ნებიერებაში, განცხრომაში, სიმდიდრეში ეცხოვროს, მაინც აღარად ღირს მისი წარსული, თუ ის სხვისის მონობის ქვეშ დალევს სულს მისი სახელი, სიმდიდრე და ყოველივე ქონება, ცხოვრება ილევება ქვეყნის პირიდგან, მხოლოდ უკეთუ ის განუტევებს სულს მომავალის იმედით, უკეთუ მან იცის, რომ მისი ქონება მის მემკვიდრეს რჩება, მაშინ წუთის ცხოვრებაც ატკბობს. ჩვენც, ძმანო, როცა დავიხოცებით, რა იმედი უნდა დავუტოვოთ ჩვენს მემკვიდრეებს? რომ ისინი მონებად რჩებიან, რომ მათ სულის მოთქმის ღონეც აღარა აქვთ? მეტი რაღა გვრჩება სათქმელი, მარტო ეს, არა? მაშ, ძმებო, უმჯობესია აღარ ვიყოთ, ან ვიყოთ და კაცურად... ეს სიტყვა დაასრულა თუ არა, შეჰყვირა ხალხმა ეკკლესიაში ერთხმად «ან სიკვდილი ან თავისუფლებაო» და ერთბაშად გამოვიდნენ გარეთ და ყველა ერთად დიდიან-პატარიანად გაუდგნენ გზას სამინისტროსკენ. საპატრიარქოდგან ადგა ათას კაცამდის და სომხურის ნაციონალურის სიმღერით გაუდგნენ ყველა ერთად დიდს შარაზედ. ნელის ნაბიჯით მიემგზავრებოდნენ; როცა საყარაულოს გაუსწორდებოდნენ; ერთ-

---

ფიქრები არ უნდა აღუძრას; პირ-იქით საუბარმა მკითხველი ოცნების ნავით, მომსმენლის იმედებით უნდა ასრიალოს.

ოჰ, რა კარგი იქნებოდა, მკითხველო, ასეთს ნავში ჯდომა, როცა თავისუფლად მონავარდე აზრი წარმოდგენის აფრას გაშლის, ერთის თვალის დახამხამებაზედ კაცობრიობის გავლილს გზას ხელის გულზედ გარდაგიშლის და მისს წამლა-უკულმა ტრიალის ისტორიას თვალწინ აგიფერადებს! ძლიერ კარგი იქნებოდა, რომ ოცნებითა და წარმოდგენით მოგზაურს წარსულისა და აწმყო ცხოვრების სიავის გვერდის ახვევა და ისტორიიდგან მარტო სულისა და გულის ამამაღლებელის საბუთების ამოკრება შეეძლოს! მაგრამ ვაი და ვაი, რომ აზრით მსრბოლს ადამიანს, რომელსაც უნდა კაცობრიობის ცხოვრებიდგან მარგალიტები ამოხოჰოს, ერთი ახირებული, თუმდა აუცილებელი თვისება ახლავს: ადამიანის ბრწყინვალე და შარავანდედით მოსილ ნაღვაწთან, მისს სპეტაკ საქციელთან, ვერ ასცდები ჩირქსა და ბიწიერს მხარეს! ეს თვისება ოცნებით გატაცებულს გონებას ტკბილთან მწარესაც აწოდებს, თეთრთან შავს უფერადებს, ნექტართან სამსალას ულესავს, ცხოვრების დრამის გმირებთან, ნაცარ-ქექიებს ამოუყენებს გვერდში; ერთის მხრით რომ ისტორიის ბუმბერაზებს დაგიყენებს, მეორეს მხრით პაწია კონდრის კაცებს. დეზდემონასთან ჰერტრუდას აპარპაშებს, იუდიფის (ივლითი) სურათთან ლეონიძის მეუღლეს, სამშობლოს გამსყიდველს ქეთევანს დაგისურათებს, ძმათა ხერხეულიძეების გმირობის ამბავთან მოღალატე ზურაბ წერეთლის ხრიკებს გაგიქროლებს და სხვ...

ამიტომ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, თუმცა ძლიერ მინდოდა დღეს ტკბილი საოცნებო, სასიამოვნო ამბებით გამერთე, მაგრამ ვერას გზით ვერ მოვახერხე! ვერ მოვახერხე იმიტომ, რომ ჩვენი ეროვნული ცხოვრების გარემოებათა შორის ისეთი განკერძოებული, კარგი და სასიამოვნო რამ ვერ მოვძებნე, რომელსაც უსიამოვნო და ავი რამ არ აჰტორღიალებოდეს! მინდოდა ორიოდე სიტყვა მეთქვა ჩვენის საზოგადო დაწესებულებათა შესახებ და როცა ტფილისის ბანკის ფრთის გაშლაზედ, იმის დიდს შემოსავალზედ მინდოდა საუბრის ჩამოგდება,—უეცრად წინ ამეხირა დაუსრულებელი ერთის ამ გვარისავე დაწესებულების შესახებ ატეხილი ბრძოლა და აყალ-მაყალი, შფოთი და „ვაი უშველებელი“, რომელიც უფრო პირადი ინტერესებით გამოწვეულია, ვიდრე თვით დაწესებულებისა და საქმის გასაუმჯობესებლად დაწყებული. ამის გამო წარმომიდგა ისეთი სამწუხარო და საშიშარი სურათები, რომ ვარჩიე არც ერთზედ არ მელაპარაკნა, მკითხველისათვის რომ ისეთივე ტანჯვა არ მიმეყენებინა, როგორიც ამ საგანზედ ფიქრით ჩემს თავს დავატეხე.

მერმე თავად-აზნაურობის შესახებ მინდოდა ლაპარაკი, მინდოდა მეკითხა: ჩვენს თავად-აზნაურობას მოეძევა იმოდენი ზნეობითი და გონებითი ძალა, რომ თავის-თავის მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ იზრუნოს, თუ არა? როცა ამ კითხვის საპასუხოდ ფიქრს შევუდექი, თვალწინ კიდევ უთავ-ბოლო და უაზრო ორ ბანაკთა ბრძოლა წარმომიდგა, ბრძოლა ორ სამარშლო კანდიდატთა მადის დასაკმაყოფილებლად გამოწვეული; მერე და როგორ კანდიდატთა? ისეთთა, რომელთაც არასოდეს არ წარმოუდგენიათ ამომრჩევლებისათვის პროექტი ახალი რამ სასარგებლო ცვლილებისა, არც ერთს არ უთქვამს, მე თქვენის ცხოვრების წარმატებისათვის ამას ვეცდები, მოვაგვარებ და ვფიქრობო. ან-კი რად იტყოდა ამას კანდიდატი, როდესაც იცის, რომ ამომრჩევლებისათვის ეს უსაჭიროესი ღირსება ასარჩევისა ჩალადაც საღირალი არ არის! მათთვის ისეთი კაცი არის საჭირო, რომელსაც გვარი ჰქონდეს დიდებული და პურ-მარილისათვის კარი ღია. თუმცა-ღა ეს ბრძოლა წარსულს უფრო ეკუთვნის, ვიდრე აწ-მყოს, თუმცა ასეთი უაზრო ბრძოლა დასავლეთსაქართველოს თავად-აზნაურობას უფრო დასჩემდა, ვიდრე აღმოსავლეთისას, მაგრამ, რომ ამის წვრილმანს გამოვყოლოდი, მკითხველსაც თავი მობეზრდებოდა და მეც ამ ბრძოლის ისტორიაში ავის მეტს ვერას მოვჩხრეკდი. ამასთანავე დრო დამეკარგებოდა, რომ ახლანდელი მზრუნველობა ქართლელ და იმერელ თავად-აზნაურთა ერთმანეთისათვის შემედარებია.

ეს თორმეტი წელიწადია ვუკვირდებით და გაფაციცებით მივჩერებივართ იმერეთის თავად-აზნაურობის კრებებს და არ გვახსოვს, ერთი რამ საინტერესო საგნის შესახებ სჯა და ბაასი აეტეხოს, გარდა მიწა-მამულის გამიჯვნისა. ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობამ-კი პროექტებით თავი იჩინა. აქაური აზნაურობა და ინტელიგენცია პრაქტიკულ-ეკონომიურს მხარესაც მიჰყვა და შესამჩნევი კვალი დაჩნია; ახლა ჩვენი წარსულის ისტორიის მოვლენათა შორის ისეთს რამეებს სჩხრეკს, რაც ყოველს ქართველს გულს მოაფხანინებს, ვისაც გული მთლად გაცივებული არა აქვს, მაგალითად ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა მოახერხა და გამოაცხადა: კრწანისის ველზედ მეფის ერეკლე II-ის ჯარსა და აღა-მაჰმად-ხანის ლაშქრის შორის მომხდარ ბრძოლის ასის წლის შესრულების დღეს წირვის შემდეგ პანაშვიდი იქმნება გარდახდილი მართლ-

ხმად დაიძახებდნენ „ფადი-შახი ჩოქია-შაო“-ო სულთანმა იცოცხლოს და რა გასცილდებოდნენ, ისევ თავიანთ სიმღერას დაიწყებდნენ. ამ რიგად ერთი პარტია მოემგზავრებოდა ერთის მხრით კუმ-კაფიდგან (ერთს ნაწილს ჰქვიან, სადაც სომხების საპატრიარქო არის), მეორე პარტია მეორე მხრით „სირქეჯიდგან“ (მეორე ნაწილია), მესამე პარტია კიდევ მესამე ნაწილიდგან; ამათ სიმღერას გუგუნი გაჰქონდა მთელს სტამბოლში (კონსტანტინოპოლის ევროპის ერთი ნაწილია სტამბოლი). ხალხში შიში ასტყდა. ყველამ კარები ჩაიკეტეს და მორთეს კივილ-ჟივილი, თათრისა და ქრისტიანის სახლ-კარი გლოვიარეს დაემზგავსა. ყველამ თავ-თავის სახლს მიაშურა. გარეთ თითქმის აღარავინ დარჩენილა. ასე ამ რიგად სამივე კუთხიდგან მიაღწიეს თვით სამინისტროს უკანა ჰიშკრამდის; გზაში არავინ არ გახდომია წინაამდეგი. როცა მივიდნენ ჰიშკართან, ამოიღო მოწინავემ არზა და ხმამაღლა დაიძახა: გაგვიშვით დიდ ვეზირთან, არზა გვაქვს მისაცემიო. ამ დროს გადუდგნენ წინ ჟანდარმები და პოლიციელები და გზა შეუკრეს. სომხებმა მაინც არ დაიხიეს უკან და ერთბაშად მიაწვნენ გულით აღმა ასასვლელად. ბოლოს, რა ძალზედ გადგნენ, მოხდა შეტაკება ამათსა და მთავრობის ხალხთა შორის. სომხები იძახოდნენ „წინ-წინ, ნურვის შეეხებით! წინაო; მხოლოდ, როცა ველარას გახდნენ, მაშინ მოისმა—ხმა: ახლა-კი კმარა გაისვით ხელიო! დაერივნენ ერთმანეთს და შეიქმნა რევოლვერების გრიალი. როცა საქმე გაჭირდა, მაშინ კავალერიის ჯარიც, ასე ორმოც-და-ათ კაცამდის, ჩაერია შიგ და აჯანყებულები გაფანტა; მხოლოდ გასაქცევი ადგილი ძალიან ცოტა იყო და ბევრი მათგანი დაიჭირეს, ბევრიც მოიკლა.

ამავე დროს ასტყდა რევოლიუცია გარეშე ნაწილებშიაც და შეიქმნა უწყალო ხოცვა; სანამ მთავრობა და ჯარი მიეშველებოდნენ ოსმალთა და სომხებს შუა ბევრი კაცი მოკვდა ყოველგან, მხოლოდ, რასაკვირველია, სომხები მეტი. სამინისტროს კარებთან სამი ოსმალოს ოფიცერი იქმნა მოკლული; ერთი იმათგან ფაშაც მოიკლა და რამდენიმე პოლიციელი ჟანდარმები. ორმოც და-ათამდის სომეხი იქვე იქმნა მოკლული; ნაზიმ-ფაშის დაჭრა არ გამართლდა; თუმცა რევოლვერი ესროლეს, მაგრამ ასცდა. ასე რომ ყოველგან ამ აჯანყების დროს რომელმაც სამ დღეს გასტანა, მოკლულია ორასამდის ოსმალო და ათასამდის სომეხი, დიდი და პატარა—ამაზედ მეტი დაჭრილებია ორივე მხრით და კიდევ მეტი დატყვევებულები.

დღე-დღეზედ ინგლისის გემების შემოსვლას მოელიან სომხები, მაგრამ საეჭვოა, რომ ევროპამ ნება მისცესო, ამბობენ აქ.

იმა.

## რუსეთის ცხოვრება.

—

ფინანსთა სიმინისტროს შეუტანია სახელმწიფო საბჭოში წინადადება, რომ კერძო სასწავლებელთ ეძლიოს ხოლმე დროგამოშვებით ხაზინიდგან სუბსიდიები.

—

პროფესორმა სტებუტმა შეადგინა პროექტი ქალთა უმაღლესის სამეურნეო განათლების შესახებ, რომელიც ამ მიმდინარე წელს დეკემბერში წარედგინება განსახილველად მეურნეთა კრებას მოსკოვში.

—

როგორც გაზ. „ნოვოე ვრემია“ იუწყება, ამ მცირე ხნის განმავლობაში შეუდგებიან ფინლიანდიის ბეჭდვითის საქმის დებულების განხილვასაო.

—

როგორც სამკურნალო დეპარტამენტის ცნობებიდამ სჩანს, სამ სექტემბრიდგან თექვსმეტ სექტემბრამდე ვოლინის გუბერნიაში ხოლერით ავად გამხდარა 4,249 კაცი, ამათგან გარდაცვლილა 1701. კიევის გუბერნიაში იმავე სენით ავად გამხდარა 57 კაცი, გარდაცვლილა 21. პოდოლის გუბერნიაში გამხდარა ავად 37 და მათგან გარდაცვლილა 18 კაცი.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** დღეს იუწყება დეპეშით დაწვრილებით ამბავს ბრძოლისას ტანანარივის აღების წინა დღეებში. 28 და 29 სექტემბრის ბრძოლის შემდგომ ფრანგები 30 სექტემბერს ორ წყობად შემოერტყნენ ქალაქის გარშემო ამართულს მთა-გორებს. ბრძოლა მეტად ფიცხელი იყო და 2 საათს განევრძო. როდესაც ჰოვასელმა ბატარეებმა ცეცხლი გააჩინეს, ფრანგებმა ყუმბარების სროლა დაუწყეს ქალაქს; ერთი ყუმბარა მეფის სასახლეს მოხვდა. იმ დროს, როდესაც ფრანგების რაზმებს იერიში უნდა მიეტანათ, ჰავასელთა მხრივ პარლამენტარებმა უკვე წინადადება წარუდგინეს ფრანგებს ბრძოლა შეეწყვიტათ. ფრანგების მხრიდგან 6 იქმნა მოკლული და 54 კაცი დაიჭრა, ამათში 4 ოფიცერია. ოთხი ზარბაზანი წაართვეს.

—

**ფორმოზა.** როგორც მკითხველებმა უწყიან, ჩინეთსა და იაპონიას შორის უკანასკნელ ომის შემდეგ კუნძული ფორმოზა იაპონელებს გარდაეცათ. მაგრამ აქნობამდის იაპონიის მფლობელობას ფორმოზაზედ ფეხი ვერ მოუკიდნია. აი რას იუწყებიან გაზეთები ამის შესახებ:“ ფორმოზაზედ ეხლა რაღაც რესპუბლიკის მაგვარი მმართველობაა. რესპუბლიკის მოთავე არის ვინმე ლიუ. აქვთ პარლამენტი, სადაც წევრნი იკრიბებიან ყოველ დღე; ისინი გულმოდგინედ ეკიდებიან თავიანთ საქმეს. ერთმა მათგანმაო, სწერს ერთი მისიონერი, მთხოვა წიგნი, სადაც არის ცნობები, თუ როგორ სჯიან ევროპის პარლამენტებში. უცხოელებს ლიუ გულ კეთილად ექცევა, მაგრამ ღმერთმა უწყის, რა დაემართება მათ, როდესაც იაპონელები მოვლენ. საშინელი ხმები ისმის ავაზაკების შესახებ. ისინი თურმე სადილზე, რჩევის დროს, სვამენ ღვინოსა ადამიანის სისხლით შერეულს. ლიუ არ თანაუგრძნობს ამისთანა გადამეტებულს მოქმედებას, მაგრამ მას ჯარი არა ჰყავს, რომ ამ ულმობელ ავაზაკების თარეშობას ბოლო მოუღოს.

—

**სპარსეთი.** უკანასკნელმა ამბოხებამ სტამბოლში და ოსმალეთის პროვინციებში სპარსეთშიაც სომხებსა და სპარსთა შორის მოძრაობა დაჰბადა. თავრიზში ორს ოქტომბერს ქურთებსა და სომხებს შორის შეტაკება მოხდა. მიზეზი ამ შეტაკებისა ის იყო, რომ ერთს სომეხს ქურთისთვის მიეფურთხებინა. ქურთმა სომეხს ცემა დაუწყო. მოჩხუბართ გარს შემოეხვივნენ სომხები და სპარსელები. ასტყდა საზოგადო ჩხუბი; სპარსელები სცემდნენ ქურთებსაც და სომხებსაც. როდესაც წესიერება ჩაოვარდა, ორი სომეხი, სამი ქურთი და რვა სპარსელი აღმოჩნდა მოკლული. შაჰის მმართველობამ განკარგულება მოახდინა არ გაუშვან სპარსეთიდგან ოსმალეთში არც ერთი ქურთი.

თავრიზში მრავალი სომეხი მოვიდა. ესენი ოსმალეთიდგან გამოქცეულან უკანასკნელი ამბოხების გამო.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან).

დასავლეთ-ევროპის ჟურნალ-გაზეთები ამტკიცებენ, რომ ინგლისი, ჰმოქმედებს-რა ორ სხვა სახელმწიფოსთან ერთად, იმავ დროს სცდილობს პორტაზედ თავისი განსაკუთრებული გავლენა იქონიოსო. როგორც კონსტანტინოპოლიდგან აუწყებენ დეპეშით „Vossiche Zeitung“-ს

დიდ ვეზირთან ლაპარაკის დროს ინგლისის ელჩს დაუყოვნებლივ მოუთხოვნია, პორტამ მიიღოს ცნობილი 11 მაისის პროექტი რეფორმათა და რაც შეიძლება მალე იქმნას საჯაროდ გამოცხადებული ოსმალეთსა და ევროპაში გარდაწყვეტილება სულთანისა ამ საქმის შესახებ. „ლორდი სოლსბერი არაფრის გულისათვის არ იზამს, რომ პროექტს რამე გამოაკლდეს და მოითხოვს, რომ უსათუოდ ასრულებულ იქმნას ყველა ის, რასაც წინად თხოულობდნენ და არ ულალატებს თავისს პრინციპსაო. უკანასკნელის კვირის ამბებმა დაგვიმტკიცეს, თუ რამდენად მაზარალებელია ეს გადაკიბე-გადმოკიბვის სისტემაო. მისი კვლავ მოთმენა აღარას გზით არ შეიძლება. მხოლოდ ნოტების წარგზავნ-წარმოგზავნა სრულიადაც არ დაამშვიდებს არც სომხებს და ვერც ოსმალთა ფანატიზმს შეაკავებსო“. ამავე დროს ინგლისის ელჩმა დრაგომანი გაუგზავნა სომეხთა პატრიარქსა და დაავალა პატრიარქისათვის მისი თანაგრძნობა განეცხადებინა და ეუწყებინა, რომ იგი (ინგლისის ელჩი) რუსეთსა და საფრანგეთთან ერთად ყოველგვარ საშუალებას ხმარობს სომეხთა საქმის სასარგებლოდ.

თავისს მხრივ პარისის გაზეთებიც იუწყებიან, რომ

სერმა ფილიპპ კერრმა სულთანს სთხოვა მისცეს ნება დაათვალიეროს ის საპატიმროები, სადაც სომხები არიან დაპატიმრებულნი. შემდეგ საელჩოს ერთ-ერთი მდივანი შეადგენს მოხსენებას საპატიმროების გასინჯვის შესახებ. 1876 წ. თითონ კერრმა, რომელიც სტამბოლში იმყოფებოდა საელჩოს მდივნად, დასწერა ასეთივე მოხსენება ბულგარელ პატიმართა შესახებ.

ოსმალეთის სახელმწიფო წრეებში ყოველს შემთხვევაში ძლიერ ეჭვით ეპყრობიან ინგლისს და ეს იყო სწორედ მიზეზი, რომ ოსმალეთის მთავრობამ ბრძანება გასცა დარდანელის სრუტე გაამაგრონ, რადგანაც მოსალოდნელია ინგლისის ესკადრა მოულოდნელად დაეცეს თავს.

„ფრანკფურტერ ცეიტუნგ“-ის კონსტანტინოპოლელს კორესპონდენტს მოჰყავს ერთი საყურადღებო ამბავი იმის შესახებ, რომ სომხეთის უბრალო ხალხი დარწმუნებული იყო ინგლისი მხარს უჭერდა მათ, რაღაცას თხოულობდა მათთვის, მაგრამ რას და რისთვის, ეს-კი არ იცოდნენო.

რამდენსამე მანიფესტანტს ვკითხე:

— რას შვრებით? რა გწადიანთ?

— ჩვენ გვსურს სულთანმა ხელი მოაწეროს.

— რას უნდა მოაწეროს ხელი?

— მას, რაც ინგლისელებსა ჰსურთ.

— განა იცით, რა ჰსურთ მათ!

ოსმალეთის ჯარის-კაცნი და სოფთები საშინელის სიძულვილით ეპყრობიან ინგლისელებს.

ერთი უცხოელი შუაგულ ხალხიდგან წაიყვანეს დასაპატიმრებლად. აქ მათ ორს დღეს ჰყავდათ იგი დამწყვდეული, არაფერს არ აჭმევდნენ და თანაც უწყალოდ სცემდნენ. მესამე დღეს-ღა განათავისუფ-

---

მადიდებელ ჯარის-კაცთა სულის მოსახსენებლადაო. ასეთის დიდის საგნის მეთაურობას მარტო თავ. მუხრან-ბატონი არ იკისრებდა. არა ერთი და ორი ინტელიგენტი ეყოლებოდა წინამძღოლს მრჩევლად, საქმის გამომწყობად, დამხმარედ. დასავლეთ-საქართველოში-კი ასეთი არავის არაფერი მოუვა თავში! წინამძღოლმა რომ კიდევაც დაიწყოს საქმე, მოიწვიოს აზნაურთა ინტელიგენცია საქმის გასარჩევად და განსასჯელად, მოწვევის ბარათზედ თუ ვინმე ხელს მოაწერს, თორემ კრებას არც ერთი არ დაესწრება. მაგალითად, ყველას კარგად მოეხსენება, რამდენად პატივცემული უნდა იყოს ყოველად-სამღვდელო გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთში და რამდენად უნდა აწუხებდეს ყველას დღევანდელი მისი მდგომარეობა. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა განიზრახა თავად-აზნაურობას რაიმე მიერთმია მწყემსთ-მთავრისათვის სადღესასწაულოდ და უკანასკნელი მწარე წამები ზნეობითი თანაგრძნობით შეემსუბუქებია. მოიწვია ქუთათური ინტელიგენცია და, წარმოიდგინეთ ჩემი განცვიფრება, რომ ხუთი კაცი არ დაესწრო ამ კრებას და ისიც ისეთნი, რომელთა იქ ყოფნა სრულებით შემთხვევითი იყო. ყოველს ჩვენს სფერასა და დაწესებულებაში, სადაც სასყიდელია, აქაურმა ადვოკატებმა მოიდგეს ფეხი; აქ რომ ადვოკატებია, ამდენი ქართველი არ ადვოკატი მთელს საქართველოში არ არის. მაგრამ ვერც ერთის ჩვენის საზოგადო საქმის შესახებ კრებებზე მათ ვერ დაისწრებ. ვერც სკოლის კომიტეტში, ვერც თავად-აზნაურთა კრებაზედ და სხვა ამისათვის, რასაკვირველია, არც ზემო აღნიშნულს კრებას დაესწრნენ. ვიღაცამ იხუმრა: ხუთ-ხუთი მანეთი რომ დაგვენიშნა, მოვიდოდნენო. მაგრამ არ იქნება ურიგო, ხან-და-ხან გაიხსენებდნენ ქრისტეს ნაბრძანებს: „არა ერთითა პურითა სცხოვნდების კაცი“... სამწუხაროა, სწორედ სამწუხარო!

ახლა ვნახოთ ერთი სასიამოვნო ამბავიცა. მაგრამ ვაი, თუ ამასაც სამწუხარო კუდი მოება. საქართველოში რომ ამჟამად ჩვენი შვილები ან-ბანსა სწავლობენ და მეცნიერების მისაღებად ემზადებიან, ამოდენა მოსწავლე ჩვენს ქვეყანას ხომ არ მოსწრებია არც ვახტანგ გურგასლანის დროს, არც დავითისა და თამარის ბრწყინვალე მეფობაში, არც ერეკლეს უკანასკნელს გაჭირვებულს ჟამს. ამასთან იწერება სახელმძღვანელოები, ბჭობენ პედაგოგები და აი, აგერ „კვალის“ ფურცლებზედ ამ საინტერესო საგნის შესახებ დიდებული ბალტაზარი ქართველთათვის პროგრამმასაცა სწერს და პესიმისტურის ოხვრით გატაცებული, ცრემლებით იგუდება საბრალო! რადგანაც ბატ. ბალტაზარი ჯერ ახალგაზდა მწერალია და თანაც ახალ-მოდური, რომელსაც ფუთიდგან მოტანილი მარილიც-კი არ უგემებია, უთუოდ იგი უფრო სასიამოვნო რამეებს აუწყებს ქართველთა ახალგაზდობის დედ-მამას მათის შვილების განათლების შესახებ; მე-კი, ვითარცა უბრალო მეფელეტონეს, ნება მიბოძეთ უბრალოდ მოგახსენოთ, რომ მოსწავლე ახალთაობა არა სდგას კარგს გზაზედ. ჩვენი შვილები ვერ ემზადებიან ისე, რომ მომავლისათვის გზა გაიკაფონ, ცხოვრების პროგრესს მიეშველონ, ან საკუთრად თავისას ერის მომხრედ და თანამგრძნობლებად გამოდგნენ. მათი გონება ისე არ ვითარდება, რომ წარსულ საუკუნეთაგან ნაანდერძები ცოდვები ცოდვად აღიარონ, ბოროტებად დასახონ, გაუმკლავდნენ და მათის ავის გავლენის მოსპობისათვის დღე და ღამ დაუღალავად იბრძოლონ; თვით წამების გვირგვინსაც არ შეუშინდნენ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

მართალია ამისი გაგონება არ იამებათ მშობლებს, მაგრამ რა გაეწყობა! არც მე გახლავარ დამნაშავე ამაში, არც შვილები! ამისი მიზეზი თვით მშობლები ბრძანდებიან, და აი რატომ: თქვენ, ბატონო მშობლებო, სრულიად კმაყოფილი ბრძანდებით, როცა თქვენი შვილები იმდენს სწავლას შეიძენენ, რამდენიც თქვენისა და მათის დღიურის საზრდოს მოპოვებისათვის არის საჭირო. ამის გამო ისინიც მუდამ დღე და ღამ წიგნებში თავ-ჩაქინდრული სხედან, სიმწრის ოფლში იწურებიან, რომ რომელიმე გულისა და სულის დამსუსტებელი, გონების გამომლაყებელი სახელმძღვანელო გაიზეპირონ, აჭია-ბაჭია ზღაპრები იკითხონ.

აი, ეს არის თავი და თავი მიზეზი იმისი, რომ ჩვენის ახალგაზდობის უმეტესობა, როცა ცხოვრების ასპარეზზე ფეხს შემოსდგამს, როცა შრომის უღელში შეებმება, ერთ-ორს შეფხაკურდება ურიის დამშეული საქირაო ცხენივით, ორისა და სამის ნაბიჯის გადადგმისათანავე ყურებს ჩამოჰყრის და ბოლოს იარაღსაც დასდებს. მიეცემა უფერულსა და უნაყოფო ცხოვრებას, პირადს კეთილ-დღეობას მოსჭიდებს ხელს და ბოლოს იმავე გზას დაადგება, რა გზითა და საშუალებითაც ჩარჩი-ვაჭრები ფულს, მამულს, სიმდიდრეს და სხვა გასანებივრებელს საშუალებას იძენენ.

მშობლები და საზოგადოება ამითი სრულიად კმაყოფილია. მაშინაც კმაყოფილი ვართ, თუ ჩვენი შვილები, შემდეგ სწავლა დამთავრებისა, კანცელარიის ჩინოვნიკებად გამოდგნენ. ერთხელვე შემოღებული მეტოდითა და წესით ან-ბანის სწავლება არ გაუჭირდათ, „აბლოკატობა“ თუ იმდენად მოახერხეს, რომ საჭირო შემთხვევაში რომელიმე მუხლი კანონისა მსაჯულსა და ბრალმდებელს კაჭკაჭივით პირში მიახალეს.

შემდეგ კვირემდის ეს ვიკმაროთ... ბოდიშს ვიხდი, რომ ავის მეტი ვერაფერი მოგახსენეთ „დღევანდელსა დღესა განცხრომა-განსვენებისასა“.

კუდიანეთელი.

25 სექტემბერი 1895 წ.

ლეს იგი და სთხოვეს, ეს უნებური შეცდომა ეპატიებინა. „ჩვენ შენ ინგლისელი გვეგონეო“, — უთხრეს დაპატიმრებულს უცხოელს.

—

„ჟურნალ დე პეტერბურგ“-ის 22 სექტემბრის №-ში, სხვათა შორის, შემდეგსა ვკითხულობთ:

გასულ სექტემბერს ტფილისის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თავადის კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონის მოთავეობით გარდახდილ იქმნა ტფილისში პანაშვიდი იმ მცირე-რიცხოვან გმირთა სულის მოსახსენებლად, რომელთაც ერთის საუკუნის წინად შესწირეს სიცოცხლე სამშობლოს ბარბაროსთა აურიცხველ ჯართან ბრძოლაში. გავიხსენოთ რამდენიმე სიტყვით ეს დიდებული ბრძოლა.

ამ დროს საქართველოში მეფობდა ერეკლე II, რომელმაც თავისის პირადის ღირსებით დაიმსახურა სიყვარული არა მარტო თავისის ერისა, არამედ მუსულმანთა და სხვა მეზობელ ეროვნებათა თვალშიაც დიდი პატივი და თანაგრძნობა მოიპოვა. ეს გარემოება გახდა მიზეზი, რომ თავხედმა აღა-მაჰმად-ხანმა, რომელიც ის იყო შეიქმნა მთელის სპარსეთის მბრძანებელად, უნდობლად დაუწყო ცქერა ერეკლე მეორეს. აღა-მაჰმად-ხანს აწუხებდა ფიქრი, ვაი თუ ერეკლე მე-II განიზრახოს შემოიკრიბოს გარშემო მთელის კავკასიის ერნი და სპარსეთზედ გამოილაშქროს, რომ მის მბრძანებლად გახდესო და ამიტომ მან შეჰყარა 100,000 მეომარი და საქართველოსაკენ გასწია. 1795 წ. აგვისტოს შუშამდის მოაღწია, საიდგანაც მცხოვრებლები მთლად გაიხიზნენ და აქედგან მან ისევ ტფილისისაკენ ჰქმნა პირი. მეფე ერეკლემ საჩქაროდ შეჰკრიბა ჯარი და პირველი გამარჯვება მაინც ქართველებს დარჩათ, თუმცა მტერი ქართველებზედ ბევრით უმრავლესი იყო.

უკვე ახლო იყო ის დრო, რომ აღა-მაჰმად-ხანი ჰკარგავდა სრულიად იმედს გამარჯვებისას, განზრახვის აღსრულებისას, რადგანაც ქართველებს კავკასიის სხვა-და-სხვა მხრიდგან ჯარები ემატებოდა, რომ ამ დროს თავი იჩინეს მოღალატეებმა, რომელთაც სპარსეთის ჯარი ფარულის გზით შემოაპარეს უკანიდგან ქართველს ჯარს და გზა მოუჭრეს ტფილისისაკენ.

და აი, სწორედ ამ დროს ერთმა მუჭა მეომართა გუნდმა თავ-განწირვით დაუწყო ბრძოლა მტერს ტფილისის დასაცველად: 11 სექტემბერს მოხდა ის გმირული ბრძოლა, რომლის დროსაც ურიცხვ მტრისაგან ქართველთა დამარცხება, რასაკვირველია, უთუოდ მოსალოდნელი იყო. ამ ბრძოლის გმირნი ყველა აქ იქმნენ დახოცილნი და უბედური ქალაქი მტერს დარჩა მოსაოხრებლადაო“.

## ბიბლიოგრაფია.

—

ჩვენ მივიღეთ ახალი ქართული წიგნი შემდეგი სათაურით: „მეფე ირაკლის გმირები“, ზეპირ გარდმოცემანი, ზაქარია ჭიჭინაძისა. როგორც წინასიტყვაობიდამ სჩანს, ეს ზეპირ-გარდმოცემანი ბ. ზ. ჭიჭინაძეს ამ ოცის წლის წინად შეუკრებია; აქედამ ზოგიერთი ადგილები ძლიერ შემოკლებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად 1876-1879 წლ. „დროებაში“ იბეჭდებოდა. თუ არა ვცდებით, იმავე წლებშივე რუსულს გაზ. „ტიფ. ვესტ.“-შიაც იყო გადათარგმნილი და დასტამბული. ამ წიგნში ხუთი თავია:

1) პაატა თემურიშვილი, 2) გელა ნათელაშვილი, 3) გიორგი მახათაძე, 4) შავი ორშაბათი ანუ ყეინობა და 5) აღა-მაჰმად-ხანის მოსვლა საქართველოში. ამ ზეპირ-გარდმოცემაში ხალხი მოგვითხრობს იმ საშინელს დროის ამბებს, როდესაც თეიმურაზ მეფის სიკვდილის შემდეგ ახალგაზდა ერეკლეს მეტად შფოთიანს და არეულს ეპოქაში მოუხდა მეფობა. ხალხი აღგვიწერს ქვეშევრდომ თათრების აჯანყებას და აღა-მაჰმად-ხანის შემოსევას; აღგვიწერს აგრეთვე ერეკლე მეფეს და მისის გმირების თავგანწირულს ბრძოლას. მეტადრე საყურადღებოა ამ წიგნში ის შეხედულება, რომელიც ხალხს შეუდგენია ირაკლის შესახებ.

წიგნი შესდგება სამოცი გვერდისაგან და ღირს სულ სამი შაური.

## შემოწირულება.

კრწანისის ველზედ აღა-მაჰმად-ხანთან ომში დახოცილ ქართველთა ძეგლის ასაგებათ რედაქციამ მიიღო ერთი მანეთი პ. მოსულიშვილისაგან.

სულ გვქონდა ამ ფონდისა 31 მ. და 90 კ. ამ ფულით შესდგა 32 მ. და 90 კ.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 ოქტომბერი.

**პარიჟი.** სენატორის მანიეს საქმის გარჩევა დაიწყო. საქმე შეეხო ბრალდებულის გაზეთის გაჭირვებულს მდგომარეობას სამხრეთ რკინის გზათა საქმის შესახებ. მანიემ განაცხადა, რომ ამ ამხანაგობასთან როგორც ჟურნალისტს ისეთი დამოკიდებულება მქონდა და არასოდეს ფასით არ გამიწევია რეინაკისათვის სამსახურიო.

**ბერლინი.** გერმანიის იმპერატორი და დედოფალი 6 ოქტომბერს იმპერატორის ფრიდრიჰის ძეგლის გახსნას დაესწრნენ ვორტში, ელზასში. იმპერატორმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ფიცი დასდვა დავიცვავ ყველას, რაც-კი რამ გვაქვს შეძენილიო.

**კონსტანტინოპოლი.** 6 ოქტომბერს, სალამალექის შემდგომ, სულთანმა რუსეთის ელჩი მიიღო.

აღელვება დაწყნარდა. სომხებმა დუქნები გააღეს.

**ლონდონი.** როზბერიმ სიტყვა წარმოსთქვა და სოლსბერს სომხეთა საქმეში გამარჯვება მიულოცა. ლიბერალები მთავრობას ამ საქმეში დახმარებას ჰპირდებიან.

**ჰონკონგი.** იაპონელებმა 4 ოქტომბერს ქალაქი ტაკაო დაიპყრეს ფორმოზის დასავლეთ ნაპირზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 6 ოქტომბერს

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 7,40 | 7,40 | — „ |
| 5%. მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად აზნაურო ბანკისა . . . . . | — „ | — „ | 212¼ |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა. . . . . | — „ | — „ | 99⅞ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურ. ბანკისა. . | — „ | 101 | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. . | — „ | 99½ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | — „ | 101½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა . | — „ | 99½ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისს ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | 97¼ |


## განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6: საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

გამოვიდა კ. თავართქილაძის გამოცემული ახალი წიგნი

### სახელმძღვანელო

საღმრთო სჯულის სასწავლებლად ძველისა და ახალის ისტორიისა.

მესამე გამოცემა სურათებით.

შედგენილი და შესწორებული სამრევლო სკოლების პროგრამაზედ მღ. ნესტორ ყუბანეიშვილის მიერ.

150 გვერდი, ფასი 25 კაპ.

—

Опытъ русско-грузинскаго

### СЛОВАРЯ

ბაგაევისა.

300 გვერ., ღირს 45 კაპ.

—

### მარგალიტა გოტიე

ალექსანდრე დუმა-შვილისა.

ფრანგულიდგან ნათარგმნი ნ. ბადრიძისა.

350 გვერ., ფასი 40 კაპ.

(10—9).

ახლად გამოვიდა და წიგნის მაღაზიებს დაურიგდათ გასასყიდად

ფილოსოფოსი

### სოკრატი.

თარგმანი მ. შარაძისა, გამოცემა შარაძისა და ამხანაგობის სტამბისა. წიგნი 64 გვერდია და ღირს ერთი შაური. ვინც ნაღდად და დაკლებულის ფასით სყიდვას ისურვებს, უნდა მიჰმართოს მ. შარაძისა და ამხანოგობის სტამბას ნიკოლოზის ქუჩაზედ, № 21 „ივერიის“ რედაქციის ქვეშ.

დამზღვევი საზოგადოება

### „იაკორი“

(ღუზა)

უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც ძირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს

გარდა სათადარიგო ფულისა.

### დაზღვევა ცეცხლისაგან.

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

### დაზღვევა სიცოცხლისა.

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ.

მაგალითი: მამა, 30 წლისა, დაბადებიდგან აზღვევებს შვილის სასარგებლოდ თანხას 10,000 მან., იმ პირობით, რომ ეს ფული 21 წლის შემდეგ გადაიხადოს. ყოველ ოთხის თვის შემდეგ ამ დაზღვევისათვის ის იხდის 154 მან. იმ შემთხვევაში-კი, თუ მამა ადრე მოკვდება, თუნდ დაზღვევის პირველს წელშივე, დანარჩენ შესატან ფულის გარდახდა შეყენებულ იქნება, ყმაწვილს 20 წლის განმავლობაში მიეცემა წლიურად 500მან. და დანიშნულ ვადის გასვლის შემდეგ-კითვით დაზღვეული თანხაც—10,000 მ.

წერილობითიგანცხადებანი დაზღვევისა მიიღებიან და ყოველგვარ საჭირო ცნობათა შეტყობა შეიძლება მოსკოვში არსებულს მმართველობაში. ვოსიის ოლქის სამმართველოში ტფილისში (ველიამინოვის ქუჩაზედ № 2), იმპერიის ყველა ქალაქების სააგენტოებში.

საზოგადოებისათვის სასდვილოდ დაზღ ევა შეიძლება კუკიაშიაც, სასამართლოს მე-3 განყოფილების გვერდით, სახ ლი ალელოვისა, თეოდორე ალექსანდრეს ძის ივანოვის სადგომში. (100—721—э)

დაიბეჭდა მეხუთე გამოცემით

### „РУССКОЕ СЛОВО“

შედგენილი

იაკობ გოგებაშვილის მიერ.

ტექსტი წიგნისა უცვლელია, მაგრამ ას-ორმოც-და-ათი ახალი სურათი აქვს ჩართული, რვა საბავშვო ლექსი მეორე წიგნიდგან გადმოტანილია პირველს წიგნში და ბოლოში დამატებული აქვს წვრილი ხელის რუსული დედანი. ფასი წიგნისა ექვსი შაური, დაკაზმულისა—ორი აბაზი. ვინც ოც-და-ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად, დაკაზმული 32 კაპეიკად. (6—3).

### L'URBAINE
### УРБЭНЪ
### Общество Страхованія Жизни.

Невскій пр., № 13,

დაზღვეულნი პირნი დაზღვევის პირველის წლიდგანვე მიიღებენ საზოგადოების მოგების 50%, რომელიც წლის ანგარიშში იქნება ნაჩვენები.

ამასთანვე იმათ მიენიჭებათ დიდი უპირატესობანი, თუ ვინიცობაა დაუძლურდნენ და მუშაობა ველარ შესძლეს.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა, № 6.

დებულება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (40—19)